ირაკლი შვანგირაძის
ავტობიოგრაფია

დავიბადე 1987 წლის 07 იანვარს ქალაქ ქუთაისში.

1993-2002 წლებში ვსწავლობდი ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში. 2003 წელს ვსწავლობდი ქუთაისის ჰუმანიტარული ლიცეუმში ისტორია სამართალმცოდნეობის მიმართულებით, 2005 წელს დავამთავრე ქუთაისის N2 საჯარო სკოლა.

2008 წელს წარჩინებით დავამთავრე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი - სამართალმცოდნეობის სპეციალობით. ამავე წელს ჩავირიცხე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სისხლის სამართლის სპეციალობაზე, რომელიც დავამთავრე 2010 წელს;

2009 წლის ივნისსში ჩავაბარე ადვოკატთა გამოცდა სისხლის სამართალში.

2009 წლის დეკემბერში ჩავაბარე ადვოკატთა გამოცდა სამოქალაქო სამართალში.

2010 წელს ჩავაბარე პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2019 წელს ჩავაბარე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

2018 წელს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.

მაგისტრატურაზე სწავლის პარალელურად 2008 წლის ივნისში კონკურსის საფუძველზე გავხდი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სტაჟიორი.

2009 წლის 09 იანვარს დავინიშნე ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის სპეციალისტად, იმავე წლის 01 ივნისს დავინიშნე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სხდომის მდივნად. 2011 წლის მარტში დავინიშნე ამავე სასამართლოს მოსამართლის თანაშემწედ, 2012 წლის 12 იანვრიდან 2016 წლის 28 მარტამდე ვმუშაობდი სასამართლოს მენეჯერის - საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 2019-2021 წლებში ვიყავი საადვოკატო ბიურო ვეტოს ადვოკატი. 2016-2019 წლებში ვმუშაობდი სამტრედიის რაიონულ პროკურატურაში, ჯერ სტაჟიორ-პროკურორის, ხოლო შემდგომ პროკურორის თანამდებობებზე. 2022-2023 წლებში ვმუშაობდი ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორად. 2023-2024 წლებში ვიყავი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.

ირაკლი შვანგირაძე
11 ნოემბერი. 2024წ